**შპს „ ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორია „ აცხადებს ვაკანსიას საგამოცდო ლაბორატორიის ხარისხის მენეჯერის პოზიციაზე**

შპს „ ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორია“ არის საგამოცდო ლაბორატორია, რომელიც მინიჭებული აქვს 2006 წლიდან დღემდე საერთაშორისო აკრედიტაცია (17025:2017/2018-ის ტანდარტით)

**<u>ხარისხის მენეჯერის ძირითადი საქმიანობა:</u>**

საგამოცდო ლაბორატორიის საქმიანობის სფეროთი განსაზღვრული საქმიანობის ხარისხის მენეჯმენტი სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018-ის შესაბამისად და ამ სტანდარტის მიხედვით ლაბორატორიის ყოველწლიური აკრედიტაციის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

**ა) ძირითადი მოთხოვნები:**

- საგამოცდო ლაბორატორიისთვის, სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018-ის მოთხოვნების მიხედვით ადექვატური დოკუმენტაციის (პროცედურები, ფორმები/ჩანაწერები და სხვა) შემუშავება, დანერგვა, სისტემატიზირება, პერიოდული გადახედვა, აქტუალიზაცია, არქივირება და ზოგადად - ამ დოკუმენტაციის მენეჯმენტი (როგორც ბეჭდვით, ასევე ელექტრონულ ფორმებში);
- მეთოდოლოგიური ინსტრუქციებისა (SOP) და ხარისხის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვა დოკუმენტების (კანონმდებლობები, რეგულაციები, სტანდარტული მეთოდები და ა.შ.) პერიოდული გადახედვა და საჭიროების შემთხვევასი, მათი აქტუალიზაცია;
- წინასწარ დაგეგმილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შიდა აუდიტების ორგანიზება: დაგეგმვა, მომზადება, განხორციელებაში მონაწილეობა ან თვალყურის დევნება, დოკუმენტირება;
- ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სახის ქმედების დოკუმენტირება;
- შეუსაბამობების აღმოჩენა, მასთან დაკავშირებული მაკორექტირებელი ღონისძიებების ჩატარება და მათი მონიტორინგი;
- პერსონალისთვის, მენეჯმენტის სისტემის იმ დოკუმენტაციის და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომლებიც ეხება მათ პასუხისმგებლობას;
- პერსონალისთვის შიდა და გარე სწავლებების/ტრენინგების ორგანიზება, სწავლების ეფექტურობის დადგენა და შემდგომი სწავლების საჭიროების განსაზღვრა;

- PT/ILC–ის ორგანიზება და მიღებული შედეგების შეფასების კონტროლი;
- მოწყობილობების შიდა და გარე დაკალიბრებების ორგანიზება;
- რეაქტივებისა და სახარჯი მასალების ვადისა და რაოდენობის აღნუსხვის ორგანიზება;
- ლაბორატორიის შესყიდვების სამსახურთან თანამშრომლობა, საგამოცდო ლაბორატორიის საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური საშუალებების (როგორიცაა, მაგალითად: ლაბორატორიული აღჭურვილობა, ქიმიური რეაქტივები, სახარჯი მასალები, სერვის–ინჟინრების მომსახურება და ა.შ.) შეძენის ოპტიმალურად განხორციელების საქმეში;
- თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, ექსპერტ-სპეციალისტებთან თანამშრომლობა და მათთვის დახმარეების გაწევა ისეთ საკითხებში, რასაც მოითხოვს სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018, 6.2.6, კერძოდ: მეთოდების შემუშავება, მოდიფიცირება, ვერიფიკაცია და ვალიდაცია. ასევე, რეკომენდაციის გაცემა შედეგების ანალიზთან დაკავშირებით, მათ შორის შესაბამისობაზე განაცხადის ან მოსაზრებებისა და ინტერპრეტაციების შესახებ;
- უკუკავშირი ლაბორატორიის პერსონალთან, მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული საქმიანობის სფეროს აქტუალიზაციისა და გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ურთიერთობისთვის შესაძლებელია სოციალური ქსელების გამოყენებაც (ელ.ფოსტა, მესინჯერი და სხვა);
- აქტიური თანამშრომლობა დირექტორთან/ლაბორატორიის ხელმძღვანელთან ლაბორატორიის პოლიტიკის, რესურსების, მენეჯმენტის მიმოხილვის, შეფასების და რისკებზე და შესაძლებლობებზე დაფუძნებული მაკორექტირებელი და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ქმედებების განხორციელების პროცესებში; შესაბამისად, წარუდგინოს მას ფაქტებზე და აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები, ანგარიშები და რეკომენდაციები;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ორგანიზება გაუწიოს ლაბორატორიის პერსონათან შეხვედრების და თათბირების ჩატარებას;

**ბ) დამატებითი მოთხოვნები და უნარები**

- ინგლისური ენის ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამები;
- გუნდური მუშაობა;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- მსგავსი პროფილის ლაბორატორიაში ხარისხის მენეჯერად ან მენეჯერის თანაშემწედ მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის და საგრანტო განაცხადის წერის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;

**საბოლოოდ შერჩეულ კანდიდატთან ორგანიზაცია გააფორმებს 3 თვიან ხელშეკრულებას გამოსაცდელი პერიოდით. ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას შეფასდება გაწეული საქმიანობა და აღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყდება მასთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელების საკითხი.**

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ გამოაგზავნონ რეზიუმე შემდეგ მეილზე: winelabor1@gmail.com

სათაურში გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება

აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გაგზავნით ავტომატურად ადასტურებთ თანახმობას, რომ თქვენი პირადი მონაცემები დაამუშავოს მიმღებმა ორგანიზაციამ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.